საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 3537-02
14/11/2018

სამართლის სკოლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში წევრობის კანდიდატის არჩევნების ჩატარების თარიღისა და დროის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, 24-ე მუხლის მეორე პუნქტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის N9 სხდომაზე დამტკიცებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების მე-7 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ

1. სამართლის სკოლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში წევრობის კანდიდატის ერთ ვაკანტურ ადგილზე გამოცხადებული არჩევნები ჩატარდეს 2018 წლის 19 ნოემბერს 17:30 საათიდან 18:30 საათამდე (მის:ი. ჭავჭავაძის გამზ.N32, A403).

2. სამართლის სკოლას დაევალოს ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალსა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტებს - სტუდენტური თვითმმართველობიდან მიაწოდოს ამ ბრძანებაში ასახული ინფორმაცია.

3. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;

4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, სამართლის სკოლას, უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურსა და უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

გიგა ზედანია

რექტორი